



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
ეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმაძინი

„25“ 07 2014 წელი

ეგზ N1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში 14/00

შინაარსი

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	4
შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი	6
1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა.....	7
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	7
1.2 სტრუქტურული და სამტატო ერთეულების შესახებ ინფორმაცია	8
1.3 მივლინების ხარჯები	8
1.4 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები....	8
1.5 ევროვიზიის ხარჯები	9
1.6 მე-2 სატელევიზიო არხის ფუნქციონირება	10
1.7 მე-3 რუსულენოვანი სატელევიზიო არხი.....	10
1.8 შპს „ტელეკომპანია პიკი“	18
2. აუდიტის პერიოდში მიღებული სესხები.....	24
3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან	25
4. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა.....	27
5. ძირითადი აქტივების აღრიცხვის მდგომარეობა	32
6. ფინანსური ანგარიშგება.....	34

შემოკლებები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - მაუწყებელი

შპს „ტელეკომპანია პიკი“ - პიკი

შპს „ქეი 1“ - ქეი1

შპს „ალანია“ - ალანია

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშები ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშები წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშები სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიშები არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, ანგარიშები ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ და ანგარიშები ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მაუწყებლის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული

სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის მექანიზმები მაუწყებლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2011 და 2012 წლების ფინანსური ანგარიშგებების შესახებ

ინვენტარიზაცია და საწყისი ნაშთები

2010 და 2011 წლებში მაუწყებლის მიერ არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება¹. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2011 და 2012 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ საწყის ნაშთებზე. აღნიშნულს ადასტურებს 2012 წელს ჩატარებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები, რომლის შედეგადაც გამოვლინდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი საშუალებების დანაკლისი 324,020 ლარის ოდენობით და ზედმეტობა 60,996 ლარის ოდენობით.

ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წელს დასრულებული შემოწმების შედეგად მაუწყებელს 2006 დან 2012 წლის 1 ნოემბრამდე განხორციელებულ ოპერაციებზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა

¹ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესი

გადასახადებით დამატებით დაერიცხა 5,760,826 ლარი (მათ შორის ჯარიმა 1,520,113 ლარი). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუდიტის პერიოდის მდგომარეობით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

მოკლევადიანი ვალდებულება

2011 და 2012 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში, სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებების მუხლში არ არის ასახული საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული სესხის გადაუხდელობისათვის დარიცხული პირგასამტეხლო 2011 წელს 436,520 ლარის, ხოლო 2012 წელს 935,113 ლარის ოდენობით. ასევე არ არის ასახული რესტრუქტურიზებულ სესხზე რესტრუქტურიზაციის თარიღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დარიცხული სარგებელი 72,335 ლარი. იხილეთ პარაგრაფი 2 - „აუდიტის პერიოდში მიღებული სესხები“.

ვადაგადაცილებული დავალიანებები

2011 წლის ბალანსის ვადაგადაცილებული დავალიანებების საცნობარო მუხლში ასახულია ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა კრედიტორული დავალიანებების მთლიანი ჯამი, 2011 წელს წარმოქმნილი დავალიანებების ჩათვლით, 21,655,331 ლარის ოდენობით, თუმცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის² თანახმად აღნიშნულ საცნობარო მუხლში აღირიცხება საანგარიშო წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება. შესაბამისად, 2011 წლის ბალანსის ვადაგადაცილებული დავალიანებების საცნობარო მუხლში 21,655,331 ლარის ნაცვლად ასახული უნდა იყოს 19,073,552 ლარი.

უარყოფითი მოსაზრება 2011 და 2012 წლების ფინანსური ანგარიშგებების შესახებ

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებებზე გავლენის არსებობისა და ყოვლისმომცველობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად არ ასახავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

² 43-ე მუხლის მე-10 პუნქტი

შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მაუწყებლის საქმიანობის, ფინანსური ოპერაციების და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ასახულია 2011 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, მაუწყებლის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის, ფინანსური ოპერაციების და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებებში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებებზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მაუწყებლის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა

1.1 ზოგადი მიმოხილვა

მაუწყებელს 2011 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზღვრული მოცულობის ფარგლებში ბიუჯეტის განაცხადით მოთხოვილი აქვს 29,000,000 ლარის დაფინანსება. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მაუწყებლის ასიგნება განისაზღვრა 25,000,000 ლარის ოდენობით, საიდანაც ხარჯებმა შეადგინა – 18,344,400 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდამ – 6,655,600 ლარი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 8 აპრილს შეტანილი ცვლილებით მაუწყებლის 2011 წლის ასიგნებები გაიზარდა 20,000,000 ლარით და შეადგინა 45,000,000 ლარი. ასიგნებების ზრდა, რომელიც განხორციელდა მთლიანად ხარჯების მუხლით, გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაუწყებლისათვის მესამე არხის მართვისთვის გამოყოფილი თანხების წლიურ საბიუჯეტო კანონში ასახვით. წლის ბოლოს განხორციელდა გეგმის დაზუსტება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1,500,000 ლარით და შეადგინა 46,500,000 ლარი.

მაუწყებელმა 2012 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზღვრული მოცულობის ფარგლებში საბიუჯეტო განაცხადით მოითხოვა 28,200,030 ლარი. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მაუწყებლს დაუმტკიცდა 49,600,000 ლარის დაფინანსება, ანუ 21,400,000 ლარით მეტი. დაფინანსების გაზრდა განაპირობა მე-3 სატელევიზიო არხის მართვისთვის 14,000,000 ლარის და ქ. ქუთაისში მე-2 სატელევიზიო არხის ამოქმედებისათვის 7,000,000 ლარის გამოყოფით. დამტკიცებული გეგმით ხარჯები შეადგენდა – 34,833,300 ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდა – 11,383,800 ლარს, ხოლო ვალდებულების კლება 3,382,900 ლარს. წლის ბოლოს განხორციელდა გეგმის დაზუსტება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაუწყებლისთვის გამოყოფილი 1,000,000 ლარით და შეადგინა 50,600,000 ლარი.

აუდიტის პერიოდში ბიუჯეტის ასიგნებებში ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები ძირითადად განხორციელებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილი დაფინანსების შემცირებით და შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლში ასიგნების გაზრდით (ძირითადად შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისთვის). შედეგად

2011 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით თავდაპირველად დამტკიცებული დაფინანსება შემცირდა 1,723,000 ლარით, ხოლო 2012 წელს 2,009,900 ლარით.

1.2 სტრუქტურული და საშტატო ერთეულების შესახებ ინფორმაცია

მაუწყებლის ხელმძღვანელობის მიერ არ არის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით დამტკიცებული დებულებები და შესაბამისი უფლება-მოვალეობები, რაც ხელს შეუწყობდა მაუწყებლის მენეჯმენტს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში. ასევე, 2011 და 2012 წლებში მაუწყებლის საშტატო განრიგი და სახელფასო განაკვეთები გენერალური დირექტორის მიერ არ დამტკიცებულა. აუდიტის პერიოდში შტატით მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა 53 ერთეულს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო რაოდენობა - 978 ერთეულს.

საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა დარიცხული შრომის ანაზღაურება, როგორც საბიუჯეტო დაფინანსებიდან ასევე საკუთარი შემოსავლებიდან, 2011 და 2012 წლებში შესაბამისად შეადგენდა 13,545,897 და 15,767,259 ლარს. 2011 წელს თანამშრომელთა საშუალო ხელფასი შეადგენდა 1,095 ლარს, ხოლო 2012 წელს - 1,274 ლარს.

რეკომენდაცია (N1)

მაუწყებლის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ყოველწლიურად დაამტკიცოს საშტატო განრიგი და შესაბამისი სახელფასო განაკვეთები.

1.3 მივლინების ხარჯები

2011 და 2012 წლებში მივლინებებზე გაწეული ფაქტიური ხარჯი შეადგენს შესაბამისად 1,215,015 და 1,464,363 ლარს. 2011 წელს ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაიხარჯა 1,053,700 ლარი, ხოლო 2012 წელს - 1,126,295 ლარი. ქვეყნის გარეთ მივლინებისას კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმის ზევით ანაზღაურებულია სხვადასხვა ხარჯებისათვის 2011 წელს 40,243 ლარი, ხოლო 2012 წელს 64,660 ლარი, რომელიც დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით.

1.4 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები

2011 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან მაუწყებელს მიზნობრივად გამოეყო 21,400,000 ლარი, ხოლო 2012 წელს 1,000,000 ლარი. ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ხარჯების ჩამონათვალი	2011	2012
მესამე არხის ფუნქციონირება	19,400,000	-
ევროვიზიის ხარჯები	150,000	-
არჩევნებთან დაკავშირებული კვლევები	-	239,178
სატელიტური მომსახურების ღირებულება (EBU)	350,000	155,099
მეორე არხის ფუნქციონირება	1,500,000	-
სხვა კრედიტორული და სახელფასო დავალიანებები	-	605,593
სულ ხარჯები	21,400,000	999,870

მესამე არხის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ პარაგრაფი 1.7 - „მესამე რუსულენოვანი სატელიტური არხის დაფინანსება და მართვა“.

1.5 ევროვიზიის ხარჯები

2011 წელს ევროვიზიის კონკურსის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის (ორივე წყაროდან) გაიხარჯა 256,300 ლარი, ხოლო მივლინებებზე 178,200 ლარი. 2012 წელს წინასაკონკურსო მზადებისთვის გაიხარჯა 81,300 ლარი, ხოლო მივლინებებზე 88,100 ლარი. ევროვიზიის კონკურსის ხარჯებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 150,000 ლარიდან ხელშეკრულება³ გაფორმდა შპს „ტიტან“-თან 120,000 ლარზე, რაც მაუწყებელმა სრულად აანაზღაურა. ხელშეკრულების საგანი იყო ჯგუფი „ELDRINE“-ის პოპულარიზაცია ევროვიზიის კონკურსში მონაწილე ევროპის ქვეყნებში. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შპს „ტიტან“-მა განახორციელა სარეკლამო ღონისძიებები 12 ქვეყანაში, თუმცა ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ანგარიში და მასალები წარმოდგენილი არ არის.

იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის მექანიზმები, დოკუმენტურად ვერ დასტურდება გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და რეალურობა.

რეკომენდაცია (N2)

მაუწყებელმა ყველა ხელშეკრულებაში ასახოს კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის ქმედითი მექანიზმები.

³ 2011 წლის 5 მაისის N62-2 ხელშეკრულება

1.6 მე-2 სატელევიზიო არხის ფუნქციონირება

2011 წელს მაუწყებლის მე-2 სატელევიზიო არხის ქ. ქუთაისში ამოქმედებისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1,500,000 ლარი ძირითადად გაიხარჯა ქ. ქუთაისში პარლამენტის შენობის და მეორე არხის ოფისის სატელევიზიო ქსელის მოწყობის საპროექტო სამუშაოებზე⁴ (დიზაინი, ტრენინგი, ინსტალაცია და საინსტალაციო მასალები).

2012 წელს მაუწყებლის მე-2 არხის ფუნქციონირებისათვის შეძენილია 6,729,100 ლარის ღირებულების სატელევიზიო ტექნიკა და აპარატურა⁵.

1.7 მე-3 რუსულენოვანი სატელევიზიო არხი

ხელშეკრულების გაფორმება

საქართველოს მთავრობის განკარგულების⁶ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის⁷ საფუძველზე მაუწყებლის მიერ შეიქმნა მე-3, რუსულ ენოვანი სატელევიზიო არხი, რომელიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს და საქართველოს მთავრობის თანხმობით, მართვის უფლებით 2010 წლის 15 ივლისის ხელშეკრულებით⁸, ერთი წლის ვადით გადაეცა 2010 წლის 7 ივლისს დაფუძნებულ კომპანია ქეი1-ს. მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 13,919,500 ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების შესრულება

2011 წლის 30 აგვისტოს შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 16 იანვრამდე. ქეი1-მა⁹, მაუწყებლის მეშვეობით, 2011 წელს მე-3 არხის ფუნქციონირების წარმატებულად გაგრძელების მიზნით, ფინანსთა სამინისტროსაგან სათანადო ხარჯთაღრიცხვის წარდგენის გარეშე მოითხოვა 20,000,000 ლარი. შედეგად მაუწყებლის ბიუჯეტი გაიზარდა 20,000,000 ლარით¹⁰. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქეი1-ისთვის ეტაპობრივად გამოიყო სულ 19,400,000 ლარი, რაც მაუწყებლის მიერ ხარჯების მუხლით მიღებული დაფინანსების 48%-ს, ხოლო მთლიანი საბიუჯეტო ასიგნების 42%-ს შეადგენს.

⁴ SONY PROEFSSIONAL SOLUTIONS MEA FZ-LLC-თან 2011 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულება 178-7

⁵ SONY PROEFSSIONAL SOLUTIONS MEA FZ-LLC-თან 2012 წლის 12 აპრილის ხელშეკრულება N55-3

⁶ 2010 წლის 9 ივლისის N900 განკარგულება

⁷ მე-17 მუხლი

⁸ ხელშეკრულება N121-1

⁹ 2011 წლის 28 იანვრის N201-SC-AD წერილი

¹⁰ „2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 08.04.2011 წლის ცვლილება

2011 წელს მაუწყებლის მიერ გადარიცხულმა თანხამ 18,420,235 ლარი შეადგინა, ხოლო სხვაობა გამოყოფილ და გადარიცხულ თანხებს შორის 979,765 ლარი, მაუწყებელმა პირდაპირ გადაიხადა მე-3 არხის სატელიტით მომსახურებისათვის¹¹. იმავე წელს ქეი1-ის მიერ გაწეულმა მომსახურებამ შეადგინა 18,296,524 ლარი. სხვაობა 123,711 ლარი ქეი1-ს 2011 წლის ბოლოს ერიცხებოდა კრედიტორულ დავალიანებად, რაც დაფარულია 2012 წლის იანვარში.

ქეი1-ის მიერ 2011 წელს გაწეული ხარჯების აუდიტისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მოიძია ქეი1-ის სრულყოფილი საბუღალტრო დოკუმენტაცია¹². ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილის, ალექსანდრე ფარულავას განმარტებით¹³, კომპანია 2011 წლის დეკემბრის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა და შესაბამისად აღარ ყავდა თანამშრომლები, მოთხოვნილი საბუღალტრო დოკუმენტაცია კი ამ დროისთვის არ იყო მისთვის ხელმისაწვდომი, ხოლო ქეი1-ის დამფუძნებლები და ყოფილი გენერალური დირექტორები, რობერტ უილიამ პარსონსი და ეკატერინე კოტრიკაძე არ იმყოფებოდნენ საქართველოში.

ამასთან, აუდიტის ჯგუფმა მოიძია ქეი1-ის საბუღალტრო პროგრამა „ორისში“ ასახული ინფორმაცია და ბუღალტრული დოკუმენტაციის ნაწილი. აუდიტის ჯგუფს საბუღალტრო პროგრამის ინფორმაცია მოაწოდეს პიკის ყოფილმა ბუღალტრებმა, რამდენადაც ეს ინფორმაცია ინახებოდა პიკის ანალოგიურ პროგრამასთან ერთად, ხოლო ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია, სათანადოდ აუკინძავი და ქრონოლოგიურად დაულაგებელი ფორმით, შემთხვევით აღმოჩნდა პიკის სათაო ოფისში, იმავე მდგომარეობაში არსებულ პიკის დოკუმენტებთან ერთად.

შედეგად, ქეი1-თან დაკავშირებული აუდიტორული პროცედურები ჩატარდა არასრულყოფილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე, სათანადო პასუხისმგებელი პირების მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა.

¹¹ მხარეებს შორის 2011 წლის 25 თებერვალს გაფორმებული შეთანხმება

¹² მოთხოვნა განხორციელდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე

¹³ 2013 წლის 9 სექტემბრის წერილი

2011 წლის 1 იანვრისათვის ქეი1-ის ფულადი სახსრების ნაშთი შეადგენდა 1,385,031 ლარს. იმავე წელს საკასო შემოსავლებმა შეადგინა 20,286,645 ლარი, საიდანაც მაუწყებლისგან მიღებულია 18,420,235 ლარი, ბანკიდან აღებულია სესხი 1,700,000 ლარის ოდენობით, ხოლო საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 166,410 ლარი. ნაშთის გათვალისწინებით 2011 წელს ფულადი სახსრების მთლიანმა რესურსმა შეადგინა 21,671,676 ლარი.

2011 წელს ფულადი სახსრების გასავალმა 21,523,337 ლარი შეადგინა, მათ შორის: საოპერაციო ხარჯები - 15,561,080 ლარი; ძირითადი და არამატერიალური აქტივების შეძენა - 2,229,229 ლარი; საბანკო სესხის დაფარვა - 3,700,000 ლარი; კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი 33,028 ლარი. ფულადი სახსრების ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 148,339 ლარს.

აუდიტის ჯგუფის მიერ გაანალიზდა 2011 წელს გაწეული ფულადი სახსრების გასავალის ნაწილი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფულადი სახსრების გასავალი	ლარი
შრომის ანაზღაურება	7,767,857
მომსახურება	908,036
ოფისის იჯარა	806,288
პროგრამების ლიცენზია	476,308
საცხოვრებელი ბინის, ავტომანქანების, აპარატურის და სტუდიის იჯარა	425,048
მივლინებები	367,614
ტრენინგები	287,242
მარკეტინგი და რეზერენდინგი	241,002
ჰოსტინგი	205,822
წარმომადგენლობითი და სამოგზაურო ხარჯები	111,268
საბანკო სესხის დაფარვა	3,700,000
სულ აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი ფულადი სახსრების გასავალი	15,296,485

2011 წელს შეძენილი ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ძირითადი აქტივები	ლარი
მანქანა-დანადგარები	370,604
კომპიუტერული ტექნიკა	340,878
კომპიუტერული პროგრამები	155,387
სხვა არამატერიალური აქტივები	137,150
ოფისის ავეჯი და ინვენტარი	25,440
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	11,195
სულ ძირითადი აქტივების ზრდა	1,040,654

აუდიტის ჯგუფის მიერ ჯამში შესწავლილია 2011 წლის ფულადი სახსრების გასავლის 76%¹⁴.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურებაზე სულ გახარჯულია 7,767,857 ლარი, აქედან ხელფასებზე - 7,653,865 ლარი, პრემიებზე - 47,337 ლარი, დაზღვევის ხარჯებზე - 48,488 ლარი, სხვადასხვა - 18,167 ლარი. ქეი1-ის უმაღლესი მენეჯმენტის ყოველთვიური ხელფასების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

უმაღლესი მენეჯმენტი	ყოველთვიური დარიცხული ხელფასი სახელშეკრულებო ვალუტაში	ყოველთვიური დარიცხული ხელფასი ლარებში
გენერალური დირექტორი		
რობერტ პარსონსი	აშშ დოლარი 23,125	38,989
გენერალური დირექტორის მოადგილე		
დევიდ ჩატერი	ევრო 12,500	29,341
მელანი ანსთეი	ევრო 12,500	29,341
ზურაბ კოდალაშვილი	ევრო 8,750	20,539
ეკატერინე კოტრიკაძე	ლარი 9,250	9,250
სულ ყოველთვიური ხელფასი		127,460 ლარი

მომსახურება

მომსახურების ხარჯებიდან ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ანაზღაურებული მნიშვნელოვანი თანხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

¹⁴ $(15,296,485 + 1,040,654) / 21,523,337 = 76\%$

ფიზიკური პირები	სამუშაოს დასახელება	ყოველთვიური დარიცხული ანაზღაურება	სულ გადახდილი თანხა ლარებში
ივანა მელაი	გადაცემის წყევანა - „ივანა მელაისთან ერთად“	10,000 აშშ დოლარი	161,213
ალექსანდრე მოტორნი	სიუჟეტების მომზადება უკრაინაში და პირდაპირი ჩართვები	15	54,114
მატვეი განაპოლსკი	გადაცემის წყევანა - „მოვლენების პიკზე“	4,000 ევრო	40,885
ვახტანგ მაისურაძე	მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ პარტნიორებთან სამაუწყებლო პროდუქტის შეძენაზე	3,975 ლარი	33,225

ოფისის იჯარა

საოფისე ფართების იჯარის ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მისამართი	ფართის ოდენობა მ²	საიჯარო ფართის მესაკუთრე	იჯარის ღირებულება	გადახდილი იჯარა ლარებში
თბილისი, კოსტავას ქ. N75	974.84 მ² ¹⁶	ტელეკომპანია „მზე“	ლარი 70,000	747,361
რუსეთი	არ არის მითითებული	ანჟელა იზუდინოვა	აშშ დოლარი 1,500	29,879
თურქეთი	არ არის მითითებული	DOGAN HABER	-	15,643
აშშ	არ არის მითითებული	MOBILE VIDEO SERVICE LTD	-	13,404
სულ				806,287

საცხოვრებელი ბინების და ავტომანქანების იჯარა

სულ თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინების იჯარამ შეადგინა 197,208 ლარი, შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

¹⁵ ერთი სიუჟეტის დამზადების ღირებულება შეადგენდა 350 აშშ დოლარს

¹⁶ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების თანახმად 01.10.2011-დან ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 39,000 ლარამდე დღგ-ს გარეშე.

თბილისში დაქირავებული ფართის მისამართი	დაქირავებული ფართის დანიშნულება	ქირის ოდენობა აშშ დოლარი	გადახდილი იჯარა ლარებში
ი. აბაშიძის ქ. N44;	რობერტ უილიამ პარსონსი	1,500	42,474
ლ. ასათიანის ქ. N14	რობერტ უილიამ პარსონსი	1,920	
ი. აბაშიძის ქ. N56	ზურაბ კოდალაშვილი	1,700	26,466
ი. ჭავჭავაძის N5, ბინა 65	ივანა მელაი	1,500	20,388
ქობულეთის ქ. N24	ალექსანდრე დუდაევა	2,050	52,190
უ. ჩხეიძის N9	დევიდ ჩატერი და მელანი სარა ანთეი	2,500	29,192
სხვადასხვა	-	-	26,498
სულ			197,208

2011 წელს ავტომატური იჯარის ხარჯებმა შეადგინა 186,604 ლარი, ხოლო აპარატურისა და სტუდიის იჯარის ხარჯებმა - 41,235 ლარი.

უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებული შემოსავლების შეჯამება

ქეი1-ის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

უმაღლესი მენეჯმენტი	ხელფასი	ბინის ქირა	სხვა	სულ
გენერალური დირექტორი				
რობერტ პარსონსი ¹⁷	355,120	42,474	11,201	408,795
გენერალური დირექტორის მოადგილე				
ზურაბ კოდალაშვილი	169,595	26,466	4,482	200,543
დევიდ ჩატერი	95,229	29,192	6,568	130,989
მელანი ანთეი	95,051	0	0	95,051
ეკატერინე კოტრიკაძე ¹⁸	29,600	0	0	29,600
სულ				864,978

¹⁷ შრომითი ხელშეკრულების (07.07.2010 წ.) მისი, როგორც გენერალური დირექტორის ხელფასი შეადგენდა თვეში 18 500 აშშ დოლარს (გადასახადების გარეშე, ხოლო გადასახადების გათვალისწინებით 23,125 აშშ დოლარს). ასევე, მას და მისი ოჯახის წევრებს შეეძლოთ ესარგებლათ ევროპაში მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებით წლის განმავლობაში ცხრაჯერ. განსაზღვრული იყო ასევე საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა - თვეში არაუმეტეს 1,500 აშშ დოლარი გადასახადების გათვალისწინებით გარეშე და ყოველთვიურად მობილურზე საუბრისთვის 500 ლარი. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან მასთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება გენერალური დირექტორისთვის მედია საკითხებში კონსულტაციასთან დაკავშირებით, თვეში 16,650 აშშ დოლარის (გადასახადების გარეშე) ანაზღაურებით.

¹⁸ ბუღალტრული პროგრამის თანახმად გაცემულია მხოლოდ 4 თვის ხელფასი

დებიტორული დავალიანება

ქეი1-ის ბუღალტრული პროგრამის თანახმად, კომპანიებს „NEXTSTAGE“-ს და „BEST-BROADCAST HIRE A/G“-ს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქეი1-ის მიმართ ერიცხებათ დავალიანება, შესაბამისად, 360,000 და 586,915 ლარის ოდენობით¹⁹. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო ინფორმაცია აღნიშნული დავალიანებების შემდგომ პერიოდში დაფარვის ან ქეი1-ის მიერ ამ საკითხთან მიმართებაში გატარებული ღონისძიებების შესახებ²⁰.

საგადასახადო შეთანხმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების²¹ საფუძველზე ქეი1-სა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ქეი1-ის საგადასახადო დავალიანება 431,244 ლარიდან შემცირდა 3,000 ლარამდე, ხოლო 2010 წლის 7 ივლისიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდისათვის, გადასახადის ყველა სახეობის მიხედვით, არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრა 2,000 ლარით.

ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

2011 წლის განმავლობაში ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რითაც ქეი1-ს წარმოეშვა დამატებითი ვალდებულებები, რომ ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა წარმოედგინა წერილობითი ანგარიში შეთანხმებული ფორმების მიხედვით. აღნიშნული ფორმები მოიცავდა: ანგარიშ-ფაქტურას, მიღება-ჩაბარების აქტს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას. ანგარიშები ფაქტობრივად წარმოდგენილია, მხოლოდ 2011 წლის პირველი სამი კვარტლის შედეგებზე და არა თვეების მიხედვით.

ამასთან ერთად, ქეი1-ს კვარტალში ერთხელ უნდა წარმოედგინა კომპანიის მუშაობის ანგარიში, რომელშიც უნდა შესულიყო:

¹⁹ სათანადო ხელშეკრულებები აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია. შპს „ქეი 1“-ის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის განმარტებით, კომპანია „NEXTSTAGE“-თან გაფორმებული ხელშეკრულება არ გააჩნდათ, ვინაიდან ამოღებული ქონდა მთავარ პროკურატურას.

²⁰ ქეი1-ის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის, ზაზა თანანაშვილის და ყოფილი მთავარი ბუღალტრის ედიშერ ჩოკორაიას წერილობითი განმარტებების თანახმად, ისინი აღნიშნულ დავალიანებებთან დაკავშირებით 2012 წლის იანვრის შემდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

²¹ 2012 წლის 16 ოქტომბრის № 1461 ბრძანება

1. კვარტლის განმავლობაში გაცემული ხელფასების ანგარიში;
ფაქტობრივად წარმოდგენილია მხოლოდ 2011 წლის მარტის, ივნისის და აგვისტოს თვის სახელფასო უწყისები, სადაც თანხები არ ედრება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მოცემულ შესაბამის ინფორმაციას. მაგალითად: ფულადი სახსრების მოძრაობის კვარტალურ ანგარიშგებაში მარტის თვის ხელფასი დაფიქსირებულია 1,430,400 ლარის ოდენობით, ხოლო მარტის თვის სახელფასო უწყისში - 738,500 ლარი.
2. კვარტლის განმავლობაში შეძენილი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ანგარიში;
ფაქტობრივად წარმოდგენილია სრული რეესტრი, რომელშიც არ არის გამოყოფილი კვარტალში განხორციელებული შესყიდვები.
3. ხელშეკრულებების რეესტრი;
არ არის გამიჯნული შრომითი და შესყიდვების ხელშეკრულებების რეესტრი;
4. პროგრამული გეგმები და ანგარიში, თითოეული გადაცემის მოკლე აღწერილობით;
წარმოდგენილია მხოლოდ I და II კვარტლების ანგარიშები სადაც არ არის მოცემული პროექტების დეტალიზაცია და არხის სამაუწყებლო ბადე.

მე-3 არხის მართვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქეი1-ის საქმიანობის შემსწავლელი კომისიის 29.04.2011 წლის სხდომის ოქმი რომელიც ეხება 2010 წლის ივლისიდან 2011 წლის 31 მარტის მდგომარეობით განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის განხილვას. ოქმის მიხედვით გამოთქმულია მნიშვნელოვანი შენიშვნები არასრულყოფილი დოკუმენტების წარმოდგენისა და ფინანსური მდგომარეობის მხრივ. მიუხედავად ამისა, ქეი1-ის საქმიანობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად და გაწეულ მომსახურებაზე გადახდები გაგრძელდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შემდგომ პერიოდში წარმოდგენილ არასრულ ანგარიშებზე კომისიის წევრების მოსაზრებები და შენიშვნები აღარ ფიქსირდება.

იქიდან გამომდინარე, რომ მაუწყებელს არ გააჩნდა მთავრობის მიერ გამოყოფილ 20,000,000 ლარზე წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და ამასთან ერთად ხელშეკრულების შესრულების პროცესში არ ახორციელებდა სათანადო მონიტორინგს და გაწეული ხარჯების ეკონომიურობის ანალიზს, ვერ დასტურდება ადექვატურია თუ არა მაუწყებლის მიერ გადახდილი თანხა ქეი1-ის მიერ გაწეულ მომსახურებასთან მიმართებაში.

რეკომენდაცია (N3)

მაუწყებელმა ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში სათანადოდ განახორციელოს კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

1.8 შპს „ტელეკომპანია პიკი“

ხელშეკრულების გაფორმება

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მაუწყებლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 14,000,000 ლარი მე-3 არხის ფუნქციონირების ხარჯებისათვის, რომლის მოთხოვნაზე მაუწყებლის მიერ დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვა ვერ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ქეი1-ის გენერალურმა დირექტორმა²² ტენდერის გამოცხადებამდე²³ 44 დღით ადრე მაუწყებელს მიწერა წერილი რომლის თანახმადაც ითხოვდა მაუწყებლისგან 2012 წლის ბიუჯეტის ფორმირებისათვის გათვალისწინებინა 14,000,000 ლარი, შესაბამისი ტელეპროდუქციის შექმნისა და არხის ეფექტური მართვისათვის.

ტენდერის შედეგებით მაუწყებელმა თავდაპირველად ხელშეკრულება²⁴ გააფორმა ალანიასთან, ხოლო 2012 წლის 2 მარტის შეთანხმებით პიკთან (შპს „ალანიამ“ შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა შპს „პიკი“). სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 14,000,000 ლარს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მაუწყებლის მე-3 სატელევიზიო არხის რუსულენოვანი ტელეპროდუქციით უზრუნველყოფა. ანგარიშსწორება წარმოებდა მომსახურების გაწევის შემდეგ ეტაპობრივად მხარეთა შორის ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

მაუწყებლის მიერ 2011 წლის 22 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებდა საბიუჯეტო დავალიანების მქონე კომპანია. აღსანიშნავია, რომ ალანიასთან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების²⁵ საფუძველზე, გაფორმებულია საგადასახადო შეთანხმება, რის შედეგადაც ალანიას 2007 წლის 4 ივლისიდან 2011 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდისათვის არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება

²² ეკატერინე კოტრიკაძე

²³ ტენდერი გამოცხადდა 2011 წლის 22 დეკემბერს ხოლო პიკმა მაუწყებელს წერილი N N513-AD-SG-08.11.2011 მიწერა 2011 წლის 8 ნოემბერს

²⁴ 2012 წლის 13 იანვარის N3-1 ხელშეკრულება

²⁵ 2011 წლის 23 სექტემბერის N⁰481 ბრძანება

განისაზღვრა 5,000 ლარით. თუმცა მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ ჩანს იმ დროისათვის ალანის დავალიანების ოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

ხელშეკრულების შესრულება

პიკის მიერ მაუწყებლისთვის 2012 წელს გაწეულმა მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 12,957,512 ლარი. აღნიშნულ მომსახურებაზე მაუწყებლისგან მიიღო 12,576,263 ლარი. აღნიშნული თანხიდან საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა 11,614,484 ლარი, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებებით გაიქვითა 961,779 ლარი. გაწეულ მომსახურებასა და მაუწყებლისგან მიღებულ თანხებს შორის სხვაობამ 2013 წლის 1 იანვრისთვის 381,249 ლარი შეადგინა.

პიკსა და მაუწყებელს შორის 2012 წლის 13 ნოემბრის შეთანხმების საფუძველზე შეწყდა ზემოაღნიშნული შესყიდვისა და მასთან ერთად მოქმედი საიჯარო, სალიცენზიო და სასპონსორო ხელშეკრულებების²⁶ მოქმედება. 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის მასამდე მხარეებს შორის წერილობითი მიმართვების და შეთანხმებების მიხედვით მაუწყებლის დავალიანების დარჩენილი ნაწილი შეადგენდა 63,471 ლარს, ხოლო პიკისათვის გადაცემული ქონების დანაკლისი - 137,237 ლარს. ურთიერთგაქვითვის²⁷ შედეგად პიკის დავალიანება საბოლოოდ განისაზღვრა 73,767 ლარის ოდენობით.

მე-3 არხის მართვისთვის გამოყოფილ 14,000,000 ლარსა და პიკისთვის ანაზღაურებულ 12,576,263 ლარს შორის წარმოქმნილი სხვაობა, 1,423,737 ლარი მაუწყებელმა გამოიყენა მიმდინარე ხარჯებისათვის. რაც წარმოადგენს მაუწყებლის მიერ გაწეულ არამიზნობრივ ხარჯს.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პიკის ფულადი სახსრების ნაშთი 30,304 ლარს შეადგენდა. 2012 წლის საკასო შემოსავლებმა შეადგინა 11,673,494 ლარი, მათ შორის, მაუწყებლისგან მიღებულია 11,614,484 ლარი. ნაშთის გათვალისწინებით ფულადი სახსრების რესურსმა 11,703,798 ლარი შეადგინა. 2012 წელს გაწეულია 11,692,503 ლარის ოდენობის საკასო ხარჯები, მათ შორის, საოპერაციო ხარჯებისთვის - 10,702,481 ლარი და აქტივების შეძენისთვის 968,845 ლარი. ფულადი სახსრების ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის 11,295 ლარს შეადგენდა.

²⁶ N 9-2; N26-7; N44-3; N47-1; ხელშეკრულებები

²⁷ 2013 წლის 15 მაისის N01826/01 წერილი

აუდიტის მიმდინარეობისას პიკის საბუღალტრო სამსახური ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა. პირველადი დოკუმენტაცია ტელეკომპანია „მზის“ შენობიდან ყოველგვარი სისტემატიზაციის გარეშე, აუკნდავი და ქრონოლოგიურად დაულაგებელი სახით, ქეი 1-ის დოკუმენტებთან ერთად, გადატანილი იყო პიკის სათაო ოფისში. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა.

პიკ-ის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ხარჯების დასახელება	ლარი
შრომის ანაზღაურება	6,378,913
მარაგები	1,810,771
იჯარა	988,061
მომსახურებები	531,951
საავტორო უფლებები	457,581
მივლინებები	227,715
სხვადასხვა ხარჯები	1,128,912
სულ ფაქტობრივი ხარჯები	11,523,902

პიკ-ის მიერ 2012 წელს შეძენილი ძირითადი აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ძირითადი აქტივი	ლარი
საინფორმაციო სტუდია	192,003
კომპიუტერული ნაწილები	169,140
მოსკოვის ოფისის მოწყობილობა	131,519
სტუდიის მონიტორი	78,701
სხვადასხვა ძირითადი აქტივები	531,348
სულ შეძენილი ძირითადი აქტივები	1,102,711

შრომის ანაზღაურება

2012 წელს, საშუალოდ 420 თანამშრომლის დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 6,128,359 ლარი. მათ შორის ძირითადი ხელფასი - 5,862,330 ლარი; პრემიები და ბონუსები - 59,012 ლარი; ბიუროების ხელფასები 207,017 ლარი. შრომის ანაზღაურების მუხლში ასევე დამატებით შესულია გაცემული საწვავის ხარჯები და სხვა დასაბეგრი შემოსავლები, რაც სულ შეადგენს 250,554 ლარს.

კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის, ყოველთვიური დარიცხული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

უმაღლესი მენეჯმენტი	ყოველთვიური დარიცხული ხელფასი ლარებში
გენერალური დირექტორი	10,000
გენერალური დირექტორის მოადგილე	8,325
გენერალური დირექტორის მოადგილე	7,500
გენერალური დირექტორის მოადგილე	6,250
სულ უმაღლესი მენეჯმენტის ყოველთვიური ხელფასი	32,075

პიკ-ის გენერალურ დირექტორს, ალექსანდრე ფარულავას 2012 წლის განმავლობაში შემოსავლების სახით (შრომის ანაზღაურების გარდა) მიღებული აქვს 65,906 ლარი:

- აღნიშნული თანხიდან 7,982 ლარზე ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია;
- 19,164 ლარი წარმოადგენს ისეთ გადახდებს, რომელთა შინაარსიც ძირითადად დასტურდება პიკის საბანკო ამონაწერების მეშვეობით, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯების გაწევის საფუძვლები. მათ შორის 16,674 ლარს შეადგენს რესტორნების მომსახურების ხარჯები;
- 23,782 ლარი წარმოადგენს მივლინებების ზენორმატიულ ხარჯებს.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის²⁸ განმარტებით, დასახელებული ხარჯები გაიწია კომპანიის მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე, თუმცა ამ ხარჯების საფუძვლის და გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში გაიფანტა არხის რეორგანიზაციის შემდგომ პერიოდში. თუმცა სამეურნეო სუბიექტის მიერ პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება რეგულირდება კანონმდებლობით.

მარაგები

მარაგების შექმნაზე გაწეული ხარჯები შეადგენს 1,810,771 ლარს, საიდანაც 1,721,130 ლარი გახარჯულია გადაცემების მომზადებასა და სერიალების შექმნაზე.

²⁸ ალექსანდრე ფარულავა

პიკსა და არარეზიდენტ კომპანია შპს „გაიდ პარკს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება²⁹, რომლის მიხედვით შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას შეექმნა და ეთერში გასაშვებად გადაეცა პიკისათვის „თოქ შოუს“ ჟანრის 24 გადაცემა, სახელწოდებით - „იტოგი ქსენია სობჩაკ“, რომელსაც წაიყვანდა ჟურნალისტი ქსენია სობჩაკი. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 1,416,000 აშშ დოლარით (ერთი გადაცემის ხანგრძლივობა 52 წუთი, ღირებულება - 59,000 აშშ დოლარი). ფაქტობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით მომზადებულია 10 გადაცემა, 590,000 აშშ დოლარის ექვივალენტი 1,067,618 ლარის ღირებულებით, საიდანაც პიკმა აანაზღაურა 730,360 ლარი, ხოლო 337,258 ლარი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა შპს „გაიდ პარკის“ მიმართ კრედიტორულ დავალიანებად.

სხვადასხვა სერიალების შეძენაზე პიკის მიერ გახარჯულია 653,512 ლარი.

საავტორო უფლებები

საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულია მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულების³⁰ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა მაუწყებლის მიერ ალანისათვის იმ ტელეპროდუქციის გადაცემას, რომლებზეც საავტორო უფლებები გააჩნდა მაუწყებელს. 2012 წელს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე პიკის მიერ გადახდილია 457,581 ლარი.

საგადასახადო შეთანხმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების³¹ საფუძველზე პიკ-სა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პიკ-ის საგადასახადო დავალიანება 1,501,971 ლარიდან შემცირდა 5,000 ლარამდე, ხოლო 2011 წლის 31 აგვისტოდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდისათვის, გადასახადის ყველა სახეობის მიხედვით, არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრა ასევე 5,000 ლარით.

²⁹ 2012 წლის 5 აპრილის N54/12 ხელშეკრულება

³⁰ 2012 წლის 25 იანვრის N9-2 ხელშეკრულება

³¹ 2012 წლის 16 ოქტომბრის N⁰ 1463 ბრძანება

მიღება-ჩაბარების აქტების სიზუსტე

მაუწყებელსა და პიკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების³² თანახმად, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ფაქტიურად მიწოდებული (ერთჯერადად გასული, არა განმეორებული) ტელეპროდუქციის მიხედვით. აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეადარა 2012 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში ეთერში გასული გადაცემა „ახალი ამბების“ ფაქტობრივი საათების რაოდენობა ამავე თვეების მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებულ საათების რაოდენობას.³³

2012 წლის 1 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მაისის თვეში მიწოდებული ტელეპროდუქციის რაოდენობა იყო 346 საათი, საიდანაც „ახალი ამბები“ შეადგენდა 157.48 საათს. გადამოწმებით დგინდება, რომ ახალი ამბების სუფთა დროის ოდენობა მაისში 145.1 საათია. შესაბამისად ფაქტიურად ეთერში გასულსა და მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულ მონაცემებს შორის სხვაობამ, მაისის თვეში შეადგინა 12.38 საათი. ანალოგიურად, ივნისსა და ივლისში სხვაობებმა შეადგინა 24.8 და 25.6 საათები. სულ აუდიტის ჯგუფის მიერ გადათვლილ თვეებში სხვაობამ შეადგინა 62.78 საათი, რაც სატენდერო წინადადებით განსაზღვრული ტელეპროდუქციის ერთი საათის ღირებულების გათვალისწინებით 268,698 ლარს შეადგენს.

შედეგად, მაუწყებლის მიერ, 2012 წლის მაისის, ივნისის და ივლისის თვეებთან დაკავშირებით პიკისთვის ზედმეტად ანაზღაურებულია 268,698 ლარი.

სახელშეკრულებო ვალდებულების არასრულად შესრულება

პიკსა და მაუწყებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პიკს უნდა დაემზადებინა მინიმუმ 100 საათის ოდენობის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები რაც ფაქტობრივად არ შესრულებულა. ხელშეკრულების 1.4.1 მუხლის თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით, რაც თანხობრივად 280,000 ლარს შეადგენს. ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი მაუწყებელს არ გამოუყენებია.

³² N3-1 ხელშეკრულების 10.3 მუხლის

³³ აუდიტის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო 10 თვიდან მხოლოდ 7 თვის ინფორმაცია

ხელშეკრულების მონიტორინგი

მაუწყებლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების მე-7 მუხლით თანახმად გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული მონიტორინგი ევალუბრდით მაუწყებლის პროდიუსინგის, ადმინისტრაციული, ტექნიკური და ფინანსური დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

იქიდან გამომდინარე, რომ მაუწყებელს არ გააჩნდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ 14,000,000 ლარზე წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და ხელშეკრულების შესრულების პროცესში არ ახორციელებდა სათანადო მონიტორინგს, ვერ დასტურდება ადექვატურია თუ არა მაუწყებლის მიერ გადახდილი თანხა პიკ-ის მიერ გაწეულ მომსახურებასთან მიმართებაში.

იხ. რეკომენდაცია (N3)

2. აუდიტის პერიოდში მიღებული სესხები

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მაუწყებელს ერიცხებოდა 7,433,592 ლარის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, მათ შორის 3,207,200 ლარის სს „კორ-სტანდარტ ბანკის“ მიმართ, ხოლო 4,226,392 ლარის ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

2011 და 2012 წლების განმავლობაში მაუწყებელს აღებული აქვს სს „კორ-სტანდარტ ბანკიდან“ 7,700,000 ლარის ოდენობის სესხი, 13,7% და 14% წლიური საპროცენტო განაკვეთით. კრედიტის მიზანი იყო მიმდინარე სესხის რეფინანსირება, საბრუნავი საშუალებების შევსება, ხელფასების გაცემა და კრედიტორული დავალიანების დაფარვა. აღნიშნული სესხის ძირითადი თანხა დაფარულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი 429,800 ლარი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

საქართველოს მთავრობის განკარგულების³⁴ საფუძველზე მაუწყებელს გამოეყო 1,904,381 ევროს ექვივალენტი 4,226,392 ლარის ოდენობის უპროცენტო სესხი, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დაფარვის პირობით. მაუწყებელსა და ფინანსთა სამინისტროს შორის 2008 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებით სესხი აღებულია ევროპულ სასამართლოში საქართველოს მხარესა და ევროპულ სატელეკომუნიკაციო კომპანია „Eutelsat SA“-ს შორის მიმდინარე საარბიტრაჟო დავის მორიგების შედეგად საქართველოს მხარის მიერ აღებული ფინანსური

³⁴ 2008 წლის 7 ივლისი - N459

